საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის

დადგენილება №1

2021 წლის 11 მარტი

ქ. თბილისი

„ადგილობრივი მაუწყებლობის ზონალური დაყოფის შესახებ“ საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის 2006 წლის 5 დეკემბრის №10 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისია **ადგენს:**

მუხლი 1

„ადგილობრივი მაუწყებლობის ზონალური დაყოფის შესახებ” საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის 2006 წლის 5 დეკემბრის №10 დადგენილებაში (სსმ, 13.12.2006, №167, მუხ. 2271) შევიდეს შემდეგი ცვლილება:

1. პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. ადგილობრივი მაუწყებლობის ზონად განისაზღვროს საეთერო მაუწყებლობის მომსახურების ზონა.“.

2. მე-3 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„3. საეთერო მაუწყებლობის მომსახურების ზონა არის სახმელეთო ტერიტორია, რომელიც შემოსაზღვრულია ამ დადგენილების დანართ №2-ით წარმოდგენილი ციფრული ფორმატის ფაილებით განსაზღვრული კონტურით.“.

3. ამოღებული იქნას მე-4 პუნქტი;

4. მე-5 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„5. საეთერო მაუწყებლობის მომსახურების ზონების პირობითი მოხაზულობა და კონტურები დატანილია თანდართულ საქართველოს რუკაზე, რაც ამ დადგენილების განუყოფელი ნაწილია (დანართი №1).“.

მუხლი 2

ამ დადგენილების მოქმედება არ ვრცელდება ამ დადგენილების ამოქმედებამდე გაცემულ ლიცენზიებზე და ,,მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონის 39-ე მუხლის შესაბამისად ამ ლიცენზიების მოქმედების ვადის ავტომატურად გაგრძელების შემთხვევებში. ამ დადგენილების ამოქმედებამდე გაცემული ლიცენზიების მოქმედების ვადის „მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონის 39-ე მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევაში ავტომატურად გაგრძელება ხდება ამ ლიცენზიებით გათვალისწინებული მაუწყებლობის ტექნიკური პარამეტრების შესაბამისი მომსახურების ტერიტორიების შესაბამისად.

მუხლი 3

ეს დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

კომისიის წევრი	**მერაბ ქათამაძე**
კომისიის წევრი	**ელისო ასანიძე**
კომისიის წევრი	**ვახტანგ აბაშიძე**
თავმჯდომარე	**კახი ბექაური**